კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

სკოლის შესახებ

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა (CSG) 2009 წლიდან არსებობს და ის სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნებსა და ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებულ სამაგისტრო პროგრამებს. პროგრამების კომპლექსური, მრავალფეროვანი კურიკულუმი ითვალისწინებს სფეროში არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს და კონცენტრირდება ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა ევროინტეგრაცია და მისი თანმდევი პროცესები, მშვიდობა და უსაფრთხოება, საჯარო მმართველობა.

სკოლა სტუდენტებს სთავაზობს
- გამართულ და კომპლექსურ პროგრამას
- მაღალკვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს
- კარიერული წინსვლის შესაძლებლობას
- თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დაუფლების შესაძლებლობას

სახელმწიფო მართვის სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში გაატარონ აკადემიური სემესტრი.

საჯარო მმართველობა

პროგრამის მიზანია, აღზარდოს თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი, მაღალი ეთიკური სტანდარტების მქონე პროფესიონალი საჯარო მოხელეები. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს პრაქტიკაში გამოიყენონ კურსის განმავლობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და აქტიურად ჩაერთონ ქვეყანაში სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სისტემის გარდაქმნის პროცესში.

მიღების წესები

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი
- ონლაინ რეგისტრაციის გავლა
- ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა
- ინტერვიუ სპეციალობაში

CU დაფინანსება

მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსება სახელმწიფო გრანტთან ერთად შეგიძლიათ CU გრანტით, რომელიც გულისხმობს 50%-იან დაფინანსებას პროგრამის სრულ ღირებულებაზე.

CU გრანტის მოპოვების ორი შესაძლებლობა არსებობს

- თუ ხართ ნებისმიერი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული და გაქვთ ბაკალავრიატის ჯამურ ქულათა საშუალო შეწონილი (GPA) 3.5 და მეტი
- თუ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დააგროვებთ 90 000 საგრანტო ქულაზე მეტს

თუ ორი პირობიდან რომელიმეს აკმაყოფილებთ, შესაძლებლობა გექნებათ ჩაერთოთ საგრანტო კონკურსში და მოიპოვოთ CU გრანტი.

წლიური საფასური MBA	CU გრანტის მოპოვებისას (სახ. გრანტის გარეშე)	CU და სახელმწიფო გრანტის მოპოვებისას
4950 ლარი	2475 ლარი	1350 ლარი

პროექტები

სკოლაში ფუნქციონირებს ჟან მონეს კათედრა (JEAN MONNET CHAIR), რომლის ფარგლებშიც სკოლაში უმაღლეს დონეზე ისწავლება ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებული საგნები.

ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს ევროკავშირის ერაზმუს + პროექტის - "CREATION OF THE GRADUATE CURRICULA IN PEACE STUDIES IN GEORGIA" (PESTUGE)" ფარგლებში, 2016 წელს დაარსებული მშვიდობის კვლევების ინსტიტუტი. ინსტიტუტი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, თემატური ბიბლიოთეკითა და სტუდენტური სივრცით. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მოუსმინონ საჯარო ლექციებს კონფლიქტისა და მშვიდობის თემაზე, მონაწილეობა მიიღონ თემატური საერთაშორისო კონფერენციების საორგანიზაციო და მოსამზადებელ პროცესში, ჩაერთონ ინსტიტუტის ბაზაზე კონფლიქტისა და მშვიდობის თემაზე ელექტრონული ბიულეტენის თუ სხვადასხვა კვლევითი პუბლიკაციების შემუშავებაში.

ამავე პროექტის ფარგლებში, სკოლის მაგისტრატურის პროგრამებში შეტანილია კონფლიქტისა და მშვიდობის მოდული, რომლის ფარგლებშიც ისწავლება ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების მეთვალყურეების ქვეშ შემუშავებული საგნები.

საკონტაქტო ინფორმაცია

მარინა მიქელაძე
საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი

ტელ: (+995 32) 237 77 77 (431)
მობ: 599 452 554
ელ. ფოსტა: mmikeladze@cu.edu.ge

ეკა აკობია
დეკანი

ტელ: (+995 32) 237 77 77 (250)
მობ: 595 333 316
ელ. ფოსტა: eakobia@cu.edu.ge

მის. პაატა სააკაძის ქ.1

www.cu.edu.ge